დანართი 1

სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ამავე კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის ანგარიშს.

2025 წლის პირველი იანვრიდან დღეის მდგომარეობით სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 5 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, მათ შორის დაკმაყოფილებულია 5 განცხადება. ამავე პერიოდის განმავლობაში სააგენტოში არ შემოსულა განაცხადი საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის თაობაზე.

საჯარო ინფორმაცია გაცემულია სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, ამავე სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის - სოფიკო სიჭინავას მიერ.

2025 წლის პირველი იანვრიდან დღეის მდგომარეობით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო სააგენტოს არც ერთ თანამშრომელს არ დაკისრებია დისციპლინარული სახდელი.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.